

რექტორი: მარინა ფირცხალავა

სწავლების ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები

შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედში სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება შიდა და გარე მექანიზმები, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის მუდმივი განვითარება, მონიტორინგი, სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური რესურსის ეფექტური გამოყენება, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამების და პროგრამაში შემავალი ყველა კომპონენტის დაგეგმილ პერიოდულ მონიტორინგს. ხარისხის უწყვეტი სრულყოფის მექანიზმების განხორციელება ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მიმდინარე ეტაპის დადგენას და შემდეგ ეტაპზე ხარისხის ამაღლების სტრატეგიის განსაზღვრას.

უნივერსიტეტში წარმოებს სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების და საწარმოო პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლების გამოკითხვა. შემუშავებულია და დანერგილია კითხვარების ანალიზისა და ანალიზის შედეგების ეფექტური ელექტრონული მექანიზმი. გარდა კითხვარებისა, უნივერსიტეტი დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის სხვა ფორმებსაც იყენებს, მაგალითად: შეხვედრები; წინადადებების ყუთი; ვებ-გვერდი; ელექტრონული ფოსტა; სოციალური ქსელები (Facebook). მონიტორინგის შედეგი არ ზღუდავს კანონმდებლობით უზრუნველყოფილ, სწავლისა და სწავლების აკადემიურ თავისუფლებას.

გარე შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლია სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ თვითშეფასების კითხვარის შემოწმება.

სწავლების ხარისხის შიდა საუნივერსიტეტო შეფასების განხორციელებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ე.წ. PDCA ციკლს, რომელიც შემდეგი ეტაპებისგან შედგება:

- P – Plan - დაგეგმე;
- D – Do - განახორციელე;
- C – Check - შეამოწმე;
- A – Act - განავითარე (მოახდინე რეაგირება).

დაგეგმე:

- უნივერსიტეტის ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის სასწავლო პროცესში ეფექტური ჩართვა;

- დასაქმების ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის კვლევა დარგობრივ ჭრილში და შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიკაცია, ახალი პროგრამის დამატება;
- აკადემიური, ადმინისტრაციული, მოწვეული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის მონიტორინგი;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი;
- ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების შემუშავება პარტნიორ უნივერსიტეტებთან;
- ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში ჩართვა, როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის.

განახორციელე:

- სწავლების დონის ამაღლების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ კონკრეტული დავალების შესრულების ხარისხის შეფასებას და აკადემიური საბჭოსათვის წარდგენას წერილობითი სახით, შემდგომი რეაგირებისათვის;
- სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მუშაობის ხარისხის შეფასება, ანონიმური კითხვარის საშუალებით (დანართი №1. სტუდენტის მიერ ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი);
- სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული სერვისების შეფასების კითხვარი (დანართი №2);
- სასწავლო პროცესში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამისა და ადმინისტრაციული სერვისების მუშაობის ხარისხის შეფასება, ანონიმური კითხვარის საშუალებით (დანართი №3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამისა და სერვისების შეფასების კითხვარი);
- დასაქმებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამის და კომპეტენციების პრაქტიკული გამოყენების შეფასება, ანონიმური კითხვარის საშუალებით (დანართი № 4. დასაქმებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პროგრამის შეფასებისა და კომპეტენციების პრაქტიკული გამოყენების კითხვარი);
- დამსაქმებლის მიერ კურსდამთავრებულის შეფასება (დანართი №5. დამსაქმებლის მიერ კურსდამთავრებულთა შეფასების კითხვარი);
- გარე მობილობაში მონაწილეთა კითხვარი (დანართი №6. გარე მობილობით გადამსვლელთა კითხვარი);
- საბიბლიოთეკო ფონდის განახლების მიზნით მომხმარებელთა მიერ ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ციფრულ ფონდებში არარსებული რესურსის მოთხოვნის რეესტრის გახსნა (დანართი №7. მომხმარებელთა მიერ ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ციფრულ ფონდებში არარსებული რესურსის მოთხოვნის რეესტრი);
- ადმინისტრაციის თანამშრომელთა მიერ უნივერსიტეტის მენეჯმენტის ხარისხის შეფასება (დანართი № 8. ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ უნივერსიტეტის მენეჯმენტის შეფასების კითხვარი);
- კლინიკის კითხვარი (დანართი №9)
- სილაბუსში გაწერილი, ლექცია-პრაქტიკული მეცადინეობებისათვის დამხმარე ტექნიკური საშუალებების გამოყენების მონიტორინგი. მეცადინეობებზე პერმანენტული დასწრებით;
- საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის და რესურსების უწყვეტი შეფასებისა და განვითარების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების შექმნის ინსტრუქციების შემუშავება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ყოველსემესტრულად, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის, შუალედური და დასკვნითი შეფასების სტატისტიკური ანალიზის წარმოება და აკადემიური საბჭოსთვის წარდგენა წერილობითი სახით, რეაგირებისათვის;
- განხორციელდება ადგილობრივი და შრომითი ბაზრის ყოველწლიური სტატისტიკა დარგობრივ ჭრილში.

შეამოწმე:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სასწავლო სემესტრის ბოლოს, დავალების შესაბამისად, ამოწმებს სასწავლო პროცესში ჩართული ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ სწავლისა და სწავლების დონის ამაღლების მიზნით შესრულებულ სამუშაოს.
- დანართების №1,2,3 გამოყენებით მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად, შემოწმდება სასწავლო პროცესში ჩართული ადამიანური რესურსის მუშაობის ხარისხი;
- ყოველი სასწავლო სემესტრის ბოლოს, შემოწმდება დანართი №7-ში მოთხოვნილი წიგნების რესურსის არსებობა ბიბლიოთეკაში;
- მეცადინეობებზე პერმანენტული დასწრებით, შემოწმდება სილაბუსში გაწერილი ლექცია-პრაქტიკული მეცადინეობების თემატიკის სწავლებისა და დამხმარე ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობები;
- საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსის შეფასების კითხვარის გაანალიზებით, დადგინდება უარყოფითი, ან დადებითი შედეგის გამომწვევი მიზეზები, შემდგომი რეაგირების მიზნით;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრის მიზნით, განხორციელდება შუალედური და დასკვნითი შეფასებების შემოწმება ყველა საგანში, გაკეთდება GPA სტატისტიკური ანალიზი;
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად შეიქმნება სტუდენტთა და პროფესორთა სამეცნიერო-კვლევითი აქტიურობის მონაცემთა ბაზა. აღირიცხება წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები, რომლებიც შემოწმდება პლაგიატის თავიდან აცილების კუთხით, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით. შემოწმდება გაცემული სერთიფიკატების ვალიდობა.

განავითარე:

მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

- განავითარებს ინოვაციურ მიდგომებს სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ საქმიანობაში;
- განახლებს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსთან ერთად აკადემიური, ადმინისტრაციული (მოთხოვნებიდან გამომდინარე), მოწვეული და დამხმარე პერსონალის შემადგენლობას ღია და გამჭვირვალე კონკურსების გამოცხადებით, პროგრამების მოდიფიკაციიდან გამომდინარე.
- ხელს შეუწყობს პროფესიული ტრენინგების მოწყობას და დარგის საერთაშორისო ექსპერტების მოწვევას პროფესიული ზრდის მიზნით, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად;
- კორპორატიული კულტურისა და კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის პრინციპების ჩამოყალიბების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად შესთავაზებს უნივერსიტეტის რექტორატს, ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, აკადემიურ, მოწვეულ და დამხმარე პერსონალს გასვლითი **Team building-** ღონისძიებების მოწყობას;
- განახლდება საბიბლიოთეკო ფონდი;
- დაიგეგმება სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიები და შეისწავლება მათი შედეგები სასწავლო პროცესში (მაგ: PBL, CBL და ა.შ.);
- განახლდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზები;
- დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებისათვის, დაიგეგმება (სურვილისამებრ)

დამატებითი კონსულტაციები, საშუალო GPA გაზრდის მიზნით;

- ადგილობრივი და საერთაშორისო შრომით ბაზრის კვლევის საფუძველზე, მოთხოვნიდან გამომდინარე, შემუშავდება ახალი საგანმანათლებლო პროგრამები;
- ახალი გამოწვევებიდან გამომდინარე, დარგობრივ ჭრილში, მოხდება არსებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების მოდიფიკაცია, სადაც აქტიურად ჩაერთვებიან აკადემიური და მოწვეული პერსონალი და სტუდენტები;
- დაიგეგმება უნივერსიტეტის ბაზაზე კვლევითი ლაბორატორიების განახლება/გაფართოება.

სასწავლო წლის სასწავლო პროცესის შიდა მონიტორინგის სამუშაო გეგმა

დასახული ამოცანების შესასრულებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სამუშაო გეგმას, რომელიც მოიცავს შესასრულებელ სამუშაოს და მონიტორინგის ვადებს.

№	შესასრულებელი სამუშაო	მონიტორინგის ვადები
1.	<p>სასწავლო ცხრილის შემოწმება. სასწავლო ცხრილის შესაბამისობის დადგენა საგანმანათლებლო პროგრამებთან</p> <p>ცხრილის არარსებობის შემთხვევაში ეცნობოს შესაბამისი მიმართულებების დეკანებს, რომ სასწავლო ცხრილი სტუდენტებისთვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი იყოს სასწავლო სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა.</p>	<p>სასწავლო წლის ორივე სასწავლო სემესტრის დაწყებამდე (ორი კვირით ადრე)</p>
2.	<p>მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მათ შორის აუდიტორიების და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის, ინვენტარის და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი პირობების, კომპიუტერული ტექნიკის – კომპიუტერული პროგრამების და ინტერნეტის), მდგომარეობის შემოწმება და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან შესაბამისობის დადგენა</p> <p>მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმართაობის ან სასწავლო პროცესისთვის შეუსაბამო გარემოს შემთხვევაში ეცნობოს რექტორს გამოსწორების მიზნით;</p>	<p>სასწავლო წლის ორივე სასწავლო სემესტრის დაწყებამდე (სამი კვირით ადრე)</p>
3.	<p>საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის (სახელმწიფანელოების და სასწავლო მასალის ფიზიკური მდგომარეობა, რაოდენობა, სილაბუსებთან შესაბამისობა) შემოწმება</p> <p>დაზიანებული, გამოუსადეგარი წიგნების ჩამოწერის და ახალი სახელმძღვანელოების შეძენის აუცილებლობის შესახებ ეცნობოს რექტორს; დაკარგული სახელმძღვანელოების ნაცვლად ახალი სახელმძღვანელოების შეძენის აუცილებლობის შესახებ ეცნობოს რექტორს.</p>	<p>სასწავლო წლის ორივე სასწავლო სემესტრის დაწყებამდე (ორი კვირით ადრე)</p>
4.	<p>ვებ-გვერდის მუშაობის და ინფორმაციის განახლების შემოწმება</p> <p>ვებ-გვერდზე მოძველებული ან არასრული ინფორმაციის შემთხვევაში ხარვეზის გამოსწორების მიზნით ეცნობოს საინფორმაციო სამსახურს და რექტორს.</p>	<p>სასწავლო წლის ორივე სასწავლო სემესტრის დაწყებამდე (ერთი კვირით ადრე) და სემესტრის განმავლობაში</p>
5.	<p>სწავლების ხარისხის დადგენის მიზნით სასწავლო პროცესში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით (კითხვარი #1)</p>	<p>სასწავლო წლის ორივე სასწავლო სემესტრი (IV კვირა)</p>
6.	<p>სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული სერვისების შეფასების კითხვარი #2)</p>	<p>სასწავლო წლის ორივე სასწავლო სემესტრი (V კვირა)</p>
7.	<p>აკადემიური/მოწვეული პერსონალის ანონიმური გამოკითხვა სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის მიზნით</p>	<p>სასწავლო წლის ორივე სასწავლო სემესტრი (VIII კვირა)</p>
8.	<p>შუალედური გამოცდების შედეგების ანალიზი</p>	<p>სასწავლო წლის ორივე სასწავლო სემესტრი (X კვირა)</p>
9.	<p>სწავლების ხარისხის დადგენის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით (კითხვარი #4)</p>	<p>სასწავლო წლის მეორე სემესტრი (IX კვირა)</p>
10.	<p>1. სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვის შედეგების ანალიზი 2. აკადემიური/მოწვეული პერსონალის ანონიმური გამოკითხვის ანალიზი</p>	<p>სასწავლო წლის ორივე სასწავლო სემესტრი (XI კვირა)</p>
11.	<p>გამოცდების შედეგების ანალიზი</p>	<p>სასწავლო წლის ორივე სასწავლო სემესტრი (XXI -XXII კვირა)</p>

12.	მონიტორინგის შედეგების საფუძველზე დასკვნის გაკეთება, რეკომენდაციების და სამოქმედო გეგმის შემუშავება და ხარვეზების გამოსწორების მიზნით აკადემიური საბჭოსთვის და რექტორისთვის გაცნობა.	სასწავლო წლის ორივე სასწავლო სემესტრი (XXII კვირა)
13.	ნაკლოვაებების და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების და მიღწეული შედეგების მონიტორინგი	სასწავლო წლის ორივე სასწავლო სემესტრის დაწყებამდე
14.	სასწავლო წლის შემაჯამებელი ანალიზი, წლიური ანგარიში, SWOT-ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციები შემუშავება.	სასწავლო წლის დასრულების შემდეგ
15.	მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენა	სასწავლო წლის დასრულების შემდეგ

რეაგირებისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით შეფასების ერთ-ერთ საკვანძო და მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მონიტორინგის შედეგების ანალიზი, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ჩატარებული ძლიერი და სუსტი მხარეების შესაძლებლობათა ე.წ. SWOT-ანალიზი. SWOT-ანალიზი გულისხმობს შიდა გარემოს გამოკვლევას ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის საფუძველზე და შესაძლებლობების, საფრთხეების და რისკების განსაზღვრას გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

მონიტორინგის, შეფასება-შემოწმებისა და ანონიმური გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და შესაბამის სამოქმედო გეგმას, რაც მიზნად ისახავს არსებულ სტანდარებთან შესაბამისობის მიღწევას და ხელს შეუწყობს რექტორს მიერ ეფექტური, ადეკვატური და სტრატეგიულად სწორი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება-განხორციელებას.

სტუდენტის მიერ ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი

გამოკითხვის მიზანს წარმოადგენს ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასება. გამოკითხვა ანონიმურია, სტუდენტებს ვთხოვთ იყვნენ მაქსიმალურად გულწრფელნი და მიუკერძოებელნი. სტუდენტთა პასუხები შემდგომში გათვალისწინებული იქნება სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვასა და სწავლის ხარისხის ამაღლებაში.

სასწავლო პროგრამა/სემესტრი -----

ლექტორი/სასწავლო კურსი -----

№	კითხვები	1	2	3	4
		არასოდეს (0 ქულა)	იშვიათად (1 ქულა)	ხშირად (2 ქულა)	ყოველთვის (3 ქულა)
1.	გაგაცნობთ თუ არა ლექტორმა სასწავლო წლის დასაწყისში სასწავლო კურსის მიზნები, ამოცანები და ცოდნის შეფასების სისტემა?				
2.	გაცნობთ თუ არა ლექტორი სასწავლო კურსის სილაბუსს?				
3.	ხსნის თუ არა გასაგებად ლექტორი თეორიულ მასალას?				
4.	თანხვედრია თუ არა ერთმანეთს ლექცია და პრაქტიკული მეცადინეობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)?				
5.	არის თუ არა ორიენტირებული სალექციო-პრაქტიკული მასალა სტუდენტთა მომავალ პროფესიულ საქმიანობაზე?				
6.	გაკმაყოფილებთ თუ არა ლექტორის ლექსიკა სალექციო მასალის გადაცემისას?				
7.	ავლენს თუ არა ლექტორი სასწავლო კურსისადმი შემოქმედებით მიდგომას და ინტერესს?				
8.	გიტარდებათ თუ არა ლექტორის მიერ კონსულტაციები სასწავლო კურსის ფარგლებში?				
9.	გიტარდებათ თუ არა ლექცია ინტერაქტიულ ფორმატში?				
10.	გაწვდით თუ არა ლექტორი სტუდენტებს ინფორმაციას სასწავლო პროგრამისგან განსხვავებულ საკითხებზე?				
11.	ობიექტურია თუ არა ლექტორი სტუდენტის შეფასებისას?				
12.	განიხილავს თუ არა ლექტორი პრაქტიკულზე და შუალედურ შეფასებებზე სტუდენტის მიერ დაშვებულ შეცდომებს?				
13.	არის თუ არა ლექტორი სტუდენტების მიმართ კეთილგანწყობილი, თავაზიანი და ტაქტიანი?				
14.	გიტარდებათ თუ არა ლექციები სილაბუსის მიხედვით?				
15.	იგვიანებს თუ არა ლექტორი ლექციაზე/პრაქტიკულზე?				
16.	აცდენს თუ არა ლექტორი ლექცია/პრაქტიკულს?				
17.	შეესაბამება თუ არა შუალედური შეფასება თავისი მოცულობით და სირთულით შესწავლილ თემებს?				
18.	გაწვდით თუ არა ლექტორი რეკომენდაციას სტუდენტებს დამხმარე ლიტერატურის შესახებ და ეხმარება თუ არა მის მოძიებაში?				

რა მოგწონთ თქვენს ლექტორში? -----

რა არ მოგწონთ თქვენს ლექტორში? -----

სასწავლო კურსის ფარგლებში ისურვებდით რაიმეს დამატებას? (თემა, ამოცანა, ქეისი და ა.შ.) -----

სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული სერვისების შეფასების კითხვარი

გამოკითხვის მიზანს წარმოადგენს სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული სერვისების შეფასება. გამოკითხვა ანონიმურია, სტუდენტებს ვთხოვთ იყვნენ მაქსიმალურად გულწრფელნი და მიუკერძოებელნი. სტუდენტთა პასუხები შემდგომში გათვალისწინებული იქნება სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვასა და სწავლის ხარისხის ამაღლებაში.

№	კითხვები	1	2	3	4
		არასოდეს (0 ქულა)	იშვიათად (1 ქულა)	ხშირად (2 ქულა)	ყოველთვის (3ქულა)
1.	რამდენად ხელმისაწვდომია ინტერნეტ-რესურსის მომსახურება?				
2.	რამდენად ხარისხიანია ინტერნეტ-რესურსის მომსახურება?				
3.	აქვს თუ არა ხარვეზები სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემას?				
4.	რამდენად გაკმაყოფილებთ ბიბლიოთეკის რესურსები და მომსახურება?				
5.	რამდენად შეესაბამება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებს?				
6.	რამდენად ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ინფორმაციული ტექნოლოგიებით აღჭურვილი სივრცე?				
7.	რამდენად ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზებით სარგებლობა?				
8.	რამდენად ხელმისაწვდომია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სამედიცინო პუნქტი?				
9.	რამდენად ასრულებს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას?				
10.	რამდენად კვალიფიციურია თქვენი დეკანატის თანამშრომლების გაცემული პასუხები თქვენს მიერ დასმულ კითხვებზე?				
11.	რამდენად ადვილია ელექტრონული კომუნიკაცია დეკანატის თანამშრომლებთან?				
12.	რამდენად ადვილია ვერბალური კომუნიკაცია დეკანატის თანამშრომლებთან?				
13.	რამდენად ითვალისწინებს დეკანატი სტუდენტთა წინადადებებს და მოთხოვნებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების შესახებ?				
14.	რამდენად აღჭურვილია აუდიტორიები თანამედროვე ტექნიკით სასწავლო პროცესის თანამედროვე მეთოდებით წარმართვისათვის?				

სასწავლო პროგრამა/სემესტრი -----

რის დამატებას ისურვებდით სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის? -----

რის დამატებას ისურვებდით სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესებისათვის? -----

აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამისა და სერვისების შეფასების კითხვარი

გამოკითხვის მიზანს წარმოადგენს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამისა და უნივერსიტეტის სერვისების შეფასება. გამოკითხვა ანონიმურია, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ვთხოვთ იყვნენ მაქსიმალურად გულწრფელნი და მიუკერძოებელნი. პასუხები შემდგომში გათვალისწინებული იქნება სასწავლო პროგრამის სრულყოფის, სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისა და სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით.

სასწავლო პროგრამა -----

№	კითხვები	1	2	3
		დიახ (2 ქულა)	ნაწილობრივ (1 ქულა)	არა (0 ქულა)
1.	რამდენად შეესაბამება სასწავლო პროგრამა, მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს?			
2.	მიიღეთ თუ არა მონაწილეობა პროგრამის შექმნაში?			
3.	იყავით თუ არა დამოუკიდებელი სილაბუსის შედგენაში?			
4.	რამდენად შეესაბამება სწავლის მოსალოდნელი შედეგები პროგრამის მიზანს?			
5.	რამდენად შეესაბამება პროგრამის ცალკეული კომპონენტების სწავლის შედეგები, მთელი პროგრამის სწავლის შედეგებს?			
6.	აკმაყოფილებს თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად?			
7.	არის, თუ არა, პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკური?			
8.	არის თუ არა, პროგრამაში გამოყენებული სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები სწორად შერჩეული და ხელ შემწყობი დასახული სწავლის შედეგების მიღწევაში?			
9.	არის თუ არა, საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსებისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა საკმარისი, შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად?			
10.	კმაყოფილი ხართ თუ არა, სტუდენტთა განათლების ზოგადი დონით?			
11.	შეესაბამება თუ არა, ინფრაქსტრუქტურა, მატერიალური და ტექნიკური რესურსები პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მიზნებს ?			
12.	ხართ თუ არა, კმაყოფილი საბიბლიოთეკო რესურსით?			
13.	ხართ თუ არა, კმაყოფილი ადმინისტრაციული სერვისებით?			
14.	დამოუკიდებელი ხართ თუ არა სტუდენტთა შეფასებაში?			
15.	ხართ თუ არა კმაყოფილი ინტერნეტ რესურსის მომსახურებით?			
16.	რამდენად სრულყოფილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა?			

თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დასახვეწად და საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად? -----

დასაქმებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამის შეფასებისა და კომპეტენციების პრაქტიკული გამოცენების კითხვარი

გამოკითხვის მიზანია აწარმოოს სტატისტიკა კურსდამთავრებულებში, რამდენად დაეხმარა უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარ-ჩვევები, კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებაში. გთხოვთ იყოთ შეფასებაში გულწრფელნი და ობიექტურნი, ანონიმურობა დაცულია.

სასწავლო პროგრამა -----

№	კითხვები	1	2	3
		არა (0 ქულა)	ნაწილობრივ (1 ქულა)	დიახ (2 ქულა)
1.	კმაყოფილი ხართ თუ არა უნივერსიტეტში სწავლის ხარისხით?			
2.	შეესაბამება, თუ არა უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა, შრომით ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს?			
3.	ხართ თუ არა კმაყოფილი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციითა და მიდგომებით სტუდენტებისადმი?			
4.	ხართ თუ არა კმაყოფილი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის კვალიფიკაციითა და მიდგომებით სტუდენტებისადმი?			
5.	მიგაჩნიათ თუ არა რომ სწავლობდით ერთერთ მაღალრეიტინგულ უნივერსიტეტში?			
6.	გაგიჭირდათ თუ არა ადგილობრივ შრომით ბაზარზე დასაქმება?			
7.	არის თუ არა ადეკვატური თქვენი ანაზღაურება თქვენს კვალიფიკაციასთან? (ივსება მე-7 კითხვაზე დადებით პასუხის შემთხვევაში)			
8.	შეგიშალათ თუ არა უნივერსიტეტში მიღებულმა ცოდნამ და უნარებმა დასაქმებაში ხელი? (ივსება მხოლოდ მე-7 კითხვაზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში)			

რას შეცვლიდით უნივერსიტეტში? -----

თარიღი

დამსაქმებლის კითხვარი

გამოკითხვის მიზანს წარმოადგენს დამსაქმებლის მიერ კურსდამთავრებულის/სტუდენტის შეფასება. გამოკითხვა ანონიმურია. დამსაქმებლების პასუხები შემდგომში გათვალისწინებული იქნება სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვასა და სწავლის ხარისხის ამაღლებაში.

სასწავლო პროგრამა -----

№	კითხვები	1	2	3	4
1.	რამდენად კონკურენტუნარიანია უნივერსიტეტ “გეომედის“ კურსდამთავრებული/სტუდენტი თქვენს ორგანიზაციაში დასასაქმებლად?	1. კონკურენტუნარიანია 2. ნაწილობრივ 3. არ არის კონკურენტუნარიანი			
2.	ავლენს თუ არა უნივერსიტეტ “გეომედის“ კურსდამთავრებული/სტუდენტი მის პოზიციაზე საკმარის თეორიულ ცოდნას?	1. ძლიერია 2. ნაწილობრივ 3. სუსტია			
3.	ავლენს თუ არა უნივერსიტეტ “გეომედის“ კურსდამთავრებული/სტუდენტი მის პოზიციაზე საკმარის პრაქტიკულ ცოდნას?	1. ძლიერია 2. ნაწილობრივ 3. სუსტია			
4.	სავალდებულოა თუ არა თქვენთან დასაქმებული ფლობდეს უცხო ენას. დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ რომელს.	1. სავალდებულოა 2. სასურველია 3. არ არის სავალდებულო			
5.	რა უნარების გაძლიერებას მოითხოვდით დასაქმებულისგან უნივერსიტეტ “გეომედის“ კურსდამთავრებულისაგან კვალიფიკაციის შესაბამის პოზიციაზე?	1. 2. 3. 4.			

გთხოვთ მიუთითოდ დამატებითი უნარები (გარდა კლინიკური და თეორიული ცოდნისა), რომელიც მიგაჩნიათ რომ აუცილებელია თანამედროვე ექიმისათვის და თქვენთან მომუშავე პერსონალისთვის -----

კლინიკა (შემფასებლის პოზიცია) -----

თარიღი

გარე მობილობით გადამსვლელთა კითხვარი

სტუდენტის სახელი და გვარი _____

ფაკულტეტი: _____

საგანმანათლებლო პროგრამა: _____

მიუთითეთ თქვენი GPA: _____

1) უნივერსიტეტში სწავლის დონე არ მაკმაყოფილებს:

1. სრულიად 2. ნაწილობრივ 3. მაკმაყოფილებს

2) პედაგოგთა კვალიფიკაცია:

1. დაბალი 2. საშუალო 3. მაღალი

3) სტუდენტის შეფასება ხდება არაობიექტურად პედაგოგების მხრიდან:

1. სრულიად 2. ნაწილობრივ 3. ობიექტურია

4) უნივერსიტეტის მატერიალურ ტექნიკური ბაზა არ აკმაყოფილებს თანამდეროვე სწავლების მოთხოვნებს:

1. სრულიად 2. ნაწილობრივ 3. აკმაყოფილებს

5) საკონტაქტო საათები არასაკმარისია რის გამოც მიჭირს თემატიკის ათვისება

1. სრულიად 2. ნაწილობრივ 3. საკმარისია

6) ადმინისტრაციული პერსონალი არ არის მეგობრული და სტუდენტის მხარდაჭერაზე ორიენტირებული;

1. არამეგობრულია 2. ნაწილობრივ 3. მეგობრულია

7) სწავლის საფასური ადეკვატურია

1. სრულიად 2. ნაწილობრივ 3. არ არის ადეკვატური

8) უნივერსიტეტი არ არის პრესტიჟული:

1. სრულიად 2. ნაწილობრივ 3. პრესტიჟულია

9) მიუთითეთ კონკრეტული მიზეზი თქვენი უნივერსიტეტიდან გადასვლის:

10) რა შემთხვევაში აღარ გადახვიდოდით ან დაბრუნდებოდით უნივერსიტეტში ?

დანართი #7

მომხმარებელთა მიერ ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ციფრულ ფონდებში არარსებული რესურსის მოთხოვნის რეესტრი

#	სახელი, გვარი, სტატუსი	ფაკულტეტი	სპეციალობა	დასახელება (წიგნი, ჟურნალი, ციფრული მატარებელი)	ავტორი (ები)	შენიშვნა/ დასაბუთება	თარიღი

თარიღი

ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ უნივერსიტეტის მენეჯმენტის შეფასების კითხვარი

გამოკითხვის მიზანს წარმოადგენს ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ უნივერსიტეტის მენეჯმენტის შეფასება. გამოკითხვა ანონიმურია, რესპოდენტებს ვთხოვთ იყვნენ მაქსიმალურად გულწრფელნი და მიუკერძოებელნი. პასუხები შემდგომში გათვალისწინებულ იქნება უნივერსიტეტის მენეჯმენტის უკეთ წარმართვაში.

#	კითხვები	არა	დიახ	ნაწილობრივ
1.	შეესაბამება თუ არა სამუშაო გრაფიკი შრომით კოდექსით გათვალისწინებულ საათობრივ დატვირთვას?			
2.	იზიარებთ თუ არა შიდა კორპორატიულ კულტურას (ქცევის ნორმებს, ტრადიციებს და სხვ.)?			
3.	თანამშრომლებს შორის ურთიერთობა არის პროფესიონალური, გამართული კომუნიკაციით და თანამშრომლობის მაღალი ხარისხით			
4.	კონფლიქტების მოგვარება ხდება კონსტრუქციული გზით			
5.	თანამშრომლებს შორის არსებობს გუნდური მუშაობის სურვილი			
6.	უნივერსიტეტი არ არის დამოკიდებული მხოლოდ ერთ ადამიანზე, მმართველი ფუნქციები განაწილებულია ადექვატურად			
7.	გაქვთ თუ არა კომფორტული სამუშაო გარემო და თქვენი სამუშაო სპეციფიკიდან აღჭურვილია ადექვატურად?			
8.	გაქვთ თუ არა სტაბილურობის განცდა?			
9.	არსებობს თუ არა ყველა პოზიციისათვის სამუშაო აღწერილობები, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობას?			
10.	არის თუ არა შესაბამისობაში თქვენი ანაზღაურება, სამუშაო დატვირთვა და სამუშაო პირობები?			
11.	ხედავს თუ არა და სათანადოდ აფასებს უნივერსიტეტის მენეჯმენტი მოტივირებულ და აქტიურ თანამშრომლებს?			
12.	აქვთ თუ არა თანამშრომლებს პროფესიული ზრდის შესაძლებლობა?			

რას უნარის გაძლიერებას ისურვებდით თქვენს პოზიციაზე ვალდებულებების უკეთესად შესრულებისათვის?

.....

თარიღი

კლინიკის კითხვარი

გამოკითხვის მიზანს წარმოადგენს დამსაქმებლის მიერ კურსდამთავრებულის/სტუდენტის შეფასება. გამოკითხვა ანონიმურია. დამსაქმებლების პასუხები შემდგომში გათვალისწინებული იქნება სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვასა და სწავლის ხარისხის ამაღლებაში.

№	კითხვები	
1.	რამდენი უმცროგი ექიმი მუშაობს კლინიკაში?	
2.	რომელი უნივერსიტეტებიდან არიან?	1. სახელმწიფო უნივერსიტეტები 2. კერძო უნივერსიტეტები
3.	ვის სტუდენტებს ანიჭებთ უპირატესობას?	1. სახელმწიფო უნივერსიტეტები 2. კერძო უნივერსიტეტები
4.	რა არის დასაქმების ძირითადი კრიტერიუმები?	1. 2. 3.
5.	რა უნარების გაძლიერებას მოითხოვდით დასაქმებულისგან კურსდამთავრებულისაგან კვალიფიკაციის შესაბამის პოზიციაზე?	1. 2. 3. 4.

სასწავლო პროგრამა -----

კლინიკა (შემფასებლის პოზიცია) -----

თარიღი